შეთანხმების აქტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და
შპს „აჭარინვესტ-ჩაი"-ს შორის 2010 წლის 15 ივლისს გაფორმებულ N100698884 უზუფრუქტის
ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ბათუმი, საქართველო 15.09. 2015 წ.

ერთი მხრივ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, წარმოდგენილი იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის გიორგი მიქელაძის (პ/ნ 61001042266) სახით, მოქმედი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2015 წლის 7 სექტემბრის N294 ბრძანებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2015 წლის 8 სექტემბრის №-428 ბრძანების თანახმად მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და მეორე მხრივ, შპს „აჭარინვესტ-ჩაი" (ს/კ 248436054; იურიდიული მისამართი: საქართველო, ხელვაჩაურის რაიონი სოფ.მარადიდი; რეგისტრაციის თარიღი: 19.08.2009; მარეგისტრირებელი ორგანო: ბათუმის საგადასახადო ინსპექცია) წარმოდგენილი დირექტორის ნადიმ დიდმანიძის (პ/ნ 61006013959) სახით, მოქმედი ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს „აჭარინვესტ-ჩაი"-ს შესახებ, ვხელმძღვანელობთ რა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 04.09.2015 წ. N158 განკარგულებით და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 07.09.2015 წ. N294 ბრძანებით, წინამდებარე შეთანხმების აქტს ვაფორმებთ შემდეგზე:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს „აჭარინვესტ-ჩაი"-ს შორის 2010 წლის 15 ივლისს გაფორმებულ N100698884 უზუფრუქტის ხელშეკრულებაში (შემდგომში – „ხელშეკრულება") შეტანილ იქნეს ცვლილება ხელშეკრულების 1.1 პუნქტში და 1.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.1 „მესაკუთრე" გასცემს, ხოლო „უზუფრუქტუარი" სასყიდლიანი უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით იღებს უძრავ ქონებას, კერძოდ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხეყრუსა და სოფელ კირნათში მდებარე 131 017 კვ.მ სასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს, კერძოდ:

| N | მისამართი | ფართობი კვ.მ. | საკადასტრო კოდი |
|---|---|---|---|
| 1 | ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხეყრუ | 2262 | 22.23.07.047 |
| 2 | ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხეყრუ | 2997 | 22.23.07.048 |
| 3 | ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხეყრუ | 2176 | 22.23.07.050 |
| 4 | ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხეყრუ | 2730 | 22.23.07.051 |
| 5 | ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხეყრუ | 3581 | 22.23.07.052 |
| 6 | ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხეყრუ | 2337 | 22.23.07.053 |
| 7 | ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხეყრუ | 1432 | 22.23.07.054 |
| 8 | ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხეყრუ | 945 | 22.23.07.055 |
| 9 | ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხეყრუ | 1805 | 22.23.07.056 |
| 10 | ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხეყრუ | 7347 | 22.23.07.057 |

4. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან შპს „აჭარინვესტ-ჩაი" (ს/კ 248436054)-ს შესახებ;
5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს „აჭარინვესტ-ჩაი"-ს შორის 2010 წ. 15 ივლისს გაფორმებული N100698884 უზუფრუქტის ხელშეკრულების ასლი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

გიორგი მიქელაძე

შპს „აჭარინვესტ-ჩაი"

ნადიმ დიდმანიძე

# შეთანხმების აქტი

## 2010 წლის 15 ივლისის N100698884 უზუფრუქტის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ქ. ბათუმი

„10 ივლისი“ 2013 წელი

ერთის მხრივ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (შემდგომში „მესაკუთრე“), წარმომადგენელი იურიდიული დეპარტამენტის უფროსის გელა ცინცაძის (დაბადებული 1986 წლის 1 იანვარს შუახევში, პირადი №61010004263) სახით, მოქმედი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 15.04.2013 წ. №-97 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, და მეორე მხრივ, შპს „აჭარინვესტ-ჩაი“ (იურიდიული მისამართი: ხელვაჩაური, სოფ. მარადიდი; ს/კ 248436054) დირექტორის ნადიმ დიდმანიძის (დაბადებული 05.08.1964 წ. პირადი N61006013959.), შემდგომში „უზუფრუქტუარი“, მოქმედი თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს "აჭარინვესტ-ჩაი"–ს შესახებ, ვხელმძღვანელობთ რა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 08.04.2013 წ. N69 ბრძანებით, წინამდებარე ხელშეკრულებას ვდებთ შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება 2010 წლის 15 ივლისის N100698884 უზუფრუქტის ხელშეკრულების (შემდგომი – „ხელშეკრულება“) "1 მუხლში" და აღნიშნული მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. ხელშეკრულების საგანი

1.1 «მესაკუთრე» გადასცემს, ხოლო «უზუფრუქტუარი» სარგებლობის უფლებით იღებს უძრავ ქონებას, კერძოდ:

| N | მისამართი | ფართობი კვ.მ. | საკადასტრო კოდი |
|---|---|---|---|
| 1 | ხელვაჩაური, სოფელი ხე-ყრუ | 2262 | 22.23.07.047 |
| 2 | ხელვაჩაური, სოფელი ხე-ყრუ | 2997 | 22.23.07.048 |
| 3 | ხელვაჩაური, სოფელი ხე-ყრუ | 2176 | 22.23.07.050 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 | ხელვაჩაური, სოფელი ხე-ყრუ | 2730 | 22.23.07.051 |
| 5 | ხელვაჩაური, სოფელი ხე-ყრუ | 3581 | 22.23.07.052 |
| 6 | ხელვაჩაური, სოფელი ხე-ყრუ | 2337 | 22.23.07.053 |
| 7 | ხელვაჩაური, სოფელი ხე-ყრუ | 1432 | 22.23.07.054 |
| 8 | ხელვაჩაური, სოფელი ხე-ყრუ | 945 | 22.23.07.055 |
| 9 | ხელვაჩაური, სოფელი ხე-ყრუ | 1805 | 22.23.07.056 |
| 10 | ხელვაჩაური, სოფელი ხე-ყრუ | 7347 | 22.23.07.057 |
| 11 | ხელვაჩაური, სოფელი ხე-ყრუ | 8033 | 22.23.07.059 |
| 12 | ხელვაჩაური, სოფელი ხე-ყრუ | 2503 | 22.23.07.062 |
| 13 | ხელვაჩაური, სოფელი ხე-ყრუ | 5230 | 22.23.07.063 |
| 14 | ხელვაჩაური, სოფელი ხე-ყრუ | 3844 | 22.23.07.067 |
| 15 | ხელვაჩაური, სოფელი კირნათი | 10979 | 22.32.07.061 |
| 16 | ხელვაჩაური, სოფელი კირნათი | 20237 | 22.32.02.203 |
| 17 | ხელვაჩაური, სოფელი კირნათი | 18993 | 22.32.02.531 |
| 18 | ხელვაჩაური, სოფელი კირნათი | 33575 | 22.32.02.533 |
| | სულ ჯამი | 131006 კვ.მ. | |

1.2 ერთი ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო ფასი შეადგენს 1000 (ათასი) ლარს, თანახმად საქართველოს მთავრობის 13.01.2011 წ. N15 დადგენილებისა."

2. შეთანხმების აქტი შედგენილია 3 ეგზემპლარად, თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და წარმოადგენს 2010 წლის 15 ივლისის N100698884 უზუფრუქტის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. შეთანხმება ძალაში შედის მისი მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

დანართი:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარის 08.04.2013 წ. N69 ბრძანება;

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის - 15.04.2013 წ. № 97 ბრძანება;
3. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან შპს „აჭარინვესტ-ჩაი" –ს შესახებ;
4. 2010 წლის 15 ივლისის N100698884 უზუფრუქტის ხელშეკრულების ასლი.

«მესაკუთრე»
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119

გელა ცინცაძე

«უზუფრუქტუარი»

შპს „აჭარინვესტ-ჩაი"

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარადიდი

ნადიმ დიდმანიძე

საქართველო
ქ. ბათუმი

ორი ათას ცამეტი წლის -----*ერთ ივლისი*------------------- მე, ნოტარიუსს ვალიდა ნინიძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. 2ა, მომმართეს ბატონმა გელა ცინცაძემ და ბატონმა ნადიმ დიდმანიძემ. მათ მოითხოვეს მათ მიერ წარმოდგენილ შეთანხმების აქტზე ხელმოწერების ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად გელა ცინცაძემ (დაბადებული 1986 წლის 1 იანვარს შუახევში, პირადი №61010004263) და ნადიმ დიდმანიძემ (დაბადებული 05.08.1964 წ. პირადი N61006013959.), ხელმოწერების ნამდვილობას მათ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტზე. ხელმომწერნი ნოტარიუსის წინაშე აცხადებენ, რომ გაცნობილნი არიან დოკუმენტის შინაარსს. ხელმოწერები შესრულებულია ხელმომწერნი პირების მიერ პირადად, ჩემი თანდასწრებით. ხელმომწერნი პირების პირადობა დადგენილია წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით, ხოლო ქმედუნარიანობა შემოწმებულია, რომელშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია.

მე, ნოტარიუსი, ამ დოკუმენტის დამოწმებისას ვადასტურებ რომ, ხელმოწერები მასზე უშუალოდ ხელმომწერ პირებსს ეკუთვნით და არ ვადასტურებ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად, პასუხს არ ვაგებ მათზე.

შეთანხმების აქტი წარმოდგენილია 3 (სამი) ეგზემპლარად.

გადახდილია სანოტარო საზღაური თითოეული ეგზემპლარისათვის --4-- ლარი, სულ 3 ეგზემპლარისათვის -12----- ლარი, აგრეთვე სანოტარო მოქმედების ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის საფსაური 2,0 ლარი, სულ ---14--- ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წ. №507 დადგენილების "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა დასაქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობისათვის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე და 39-ე მუხლებისა.

ნოტარიუსი ------------------------------------------------ ვალიდა ნინიძე

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N130455018 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 10.05.2013 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება |
| ნოტარიუსი | ვალიდა ნინიძე |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | ქ.ბათუმი, ჯავახიშვილის ქ.2-ა |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 277679 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 59705375403713 |

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18